

სოციალური ქსელების მნიშვნელობა გველების (Squamata: Serpentes)

გავრცელების რუკის შედგენაში

გიორგი იანქოშვილი



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით თარხნიშვილი სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გ.იანქოშვილი _03.07.2017_ თარიღი

სარჩევი

განაცხადი.....	i
სარჩევი	ii
აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
მასალა და მეთოდი	7
<i>მონაცემების შეგროვება.....</i>	<i>7</i>
<i>მონაცემების დამუშავება.....</i>	<i>10</i>
შედეგები	14
<i>ცნობილი წერტილების რაოდენობის ზრდა.....</i>	<i>14</i>
<i>მინიმალური ამობურცულობის პოლიგონის ზრდა.....</i>	<i>15</i>
<i>დაკავებული ფართობის შეცვლა.....</i>	<i>19</i>
დისკუსია.....	37
სამადლობელი.....	38
გამოყენებული ლიტერატურა.....	40

აბსტრაქტი

საკვლევი ობიექტია საქართველოში ბინადარი გველები (დღევანდელი მონაცემებით, ქვეყანაში გავრცელებულია 26 სახეობა). ჩემი მიზანი იყო დამემუშავებინა ლიტერატურა, რომელიც ეხებოდა გველების გავრცელებას და შემედარებინა სოციალური ქსელით მიღებულ ინფორმაციასთან, რათა დამედგინა როგორ ცვლის არსებულ ცოდნას სოციალური ქსელით მიღებული ინფორმაცია; კერძოდ, რამდენად შეცვალა ამ ახალმა ინფორმაციამ (1) ცნობილი პოვნის წერტილების რაოდენობა თითოეული სახეობისთვის, (2) რამდენად გაზარდა ამ ინფორმაციამ ცალკეული სახეობების არეალის ფართობი “(Extent of Occurrence, IUCN ტერმინოლოგიის მიხედვით) და (3) რამდენად გაზარდა ამ ინფორმაციამ დაკავებული ფართობი (Area of occupancy, IUCN ტერმინოლოგიის მიხედვით). ამ ბოლო მაჩვენებლის ინდექსად გამოვიყენე თითოეულ სახეობაზე ჰაბიტატის ვარგისიანობის რუკა. ამისთვის, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დავამუშავე მაქსენტში, შემდეგი ცვლადების გამოყენებით: მიწის ზედაპირის საფარი (მაგ.ფოთოლმცვენი ტყე, მინდირი), სიშორე მუდმივი მდინარიდან, სისველე და ეფექტური ტემპერატურა. საბოლოოდ, მოდელმა აჩვენა, რომ სოციალური ქსელით მიღებული ინფორმაცია, გველების გავრცელების შესახებ, მნიშვნელოვნად აფართოვებს რეალიზებული ნიშის ინფორმატიულობას ზოგი სახეობისთვის.